პროექტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
კონსტიტუციური კანონი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია (აფხაზეთის ხმა, N27, 06.07.2001წ.) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
კონსტიტუცია

თავი პირველი
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა არის საქართველოს განუყოფელი ტერიტორიული ერთეული.
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებაა „აფხაზეთი“, რომლის სინონიმია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“.
3. აფხაზეთში ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. აფხაზეთის ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონმდებლობას და ამ კონსტიტუციას. აფხაზეთის ტერიტორიაზე სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობის შესრულება.
4. აფხაზეთის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.
5. აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა განისაზღვრება საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებით.
6. აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფო ენებია ქართული და აფხაზური. აფხაზეთის ხელისუფლება ზრუნავს ქართული და აფხაზური ენების ყოველმხრივი განვითარებისთვის.
7. აფხაზეთის სიმბოლოები დადგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

მუხლი 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა დამოუკიდებლად წყვეტს მის გამგებლობაში შემავალ საკითხებს.
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ახორციელებს უფლებამოსილებებს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას და რომლის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით არ გამოირიცხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან.

თავი მეორე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

მუხლი 3. უმაღლესი საბჭოს სტატუსი
1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, კონტროლს უწევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და ახორციელებს საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. უმაღლესი საბჭოს მუშაობის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, რომელსაც უმაღლესი საბჭოს წევრის, კომიტეტის ან ფრაქციის ინიციატივის საფუძველზე სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს უმაღლესი საბჭო. რეგლამენტს აქვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალა და მას ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 4. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები
1. უმაღლესი საბჭო 5 წლის ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უძღვება უმაღლესი საბჭოს მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ აქტებს, ახორციელებს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს შენობაში.
2. უმაღლესი საბჭო 5 წლის ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს.

მუხლი 5. უმაღლესი საბჭოს ბიურო, კომიტეტები და ფრაქციები

1. უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზებისთვის იქმნება უმაღლესი საბჭოს ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.
2. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით უმაღლეს საბჭოში იქმნება კომიტეტები.
3. უმაღლესი საბჭოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ უმაღლესი საბჭოს ფრაქციაში რეგლამენტით დადგენილი წესით. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ხუთზე ნაკლები. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებები განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

მუხლი 6. უმაღლესი საბჭოს დროებითი კომისია
1. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უმაღლეს საბჭოში იქმნება დროებითი კომისია.
2. დროებით კომისიაში უმაღლესი საბჭოს ფრაქციები წარმოდგენილი უნდა იყვნენ თითო წევრით მაინც.
3. დროებითი კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების წარმომადგენლებისთვის.

მუხლი 7. უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა და ინტერპელაცია
1. უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს. უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.
2. უმაღლესი საბჭოს ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ხუთკაციან ჯგუფს უფლება აქვს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს უმაღლესი საბჭოს განხილვის საგანი.

მუხლი 8. უმაღლესი საბჭოს სესია და სხდომა
1. უმაღლესი საბჭო თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის

მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.
2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას - რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს სხდომას წარმართავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ ინიციატორის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.
3. უმაღლესი საბჭოს სხდომები საჯაროა. უმაღლესი საბჭო დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომის ან სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადების შესახებ. გადაწყვეტილება სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ განიხილება და მიიღება დახურული წესით. უმაღლესი საბჭოს ღია სხდომის ოქმი საჯაროა.
4. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით ან საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს უმაღლესი საბჭოს, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს უმაღლესმა საბჭომ, კომიტეტმა ან კომისიამ.

მუხლი 9. კანონშემოქმედება და გადაწყვეტილებების მიღების წესი

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, უმაღლესი საბჭოს წევრს, უმაღლესი საბჭოს ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს კომიტეტს, აფხაზეთში რეგისტრირებულ საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 3 000 მოქალაქეს.
2. კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ ამ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი.
3. უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების სხვა წესი.

მუხლი 10. კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება

1. კანონის ხელმოწერისა და გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.
2. კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

თავი მესამე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 11. მთავრობა

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო.
2. მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.
3. მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისა და მინისტრებისგან.
4. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ანაზღაურებას სხვა საქმიანობისთვის, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.
5. მთავრობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, რომლის პროექტს უმაღლეს საბჭოს წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 12. მთავრობის თავმჯდომარე

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას.
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს.
3. მთავრობის თავმჯდომარე ნიშნავს და ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს.
4. მთავრობის თავმჯდომარე მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე. წელიწადში ერთხელ იგი უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მთავრობის საქმიანობის შესახებ.

მუხლი 13. მთავრობის დამტკიცება

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭო.

2. მთავრობის თავმჯდომარე, დანიშვნიდან 7 დღის ვადაში უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებას კენჭი ეყრება ერთიანად. მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
3. თუ უმაღლესი საბჭო 2 კვირის ვადაში არ დაამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას, მთავრობის თავმჯდომარე 5 დღის ვადაში უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას.

მუხლი 14. უნდობლობის გამოცხადება
1. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.
2. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
3. უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრიდან არა უადრეს 7 და არა უგვიანეს 21 დღისა უმაღლესი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობას უცხადებს მთავრობას.
4. თუ უმაღლესი საბჭო უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, დაუშვებელია მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითის აღძვრა.

მუხლი 15. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტა
1. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება:
ა) უმაღლესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადებისას;
ბ) მთავრობის თავმჯდომარის გადადგომისას ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტისას.
2. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისას მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებას მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

მუხლი 16. მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა
მთავრობის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება:
ა) გადადგომისას;
ბ) გარდაცვალებისას;
გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისას;
ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

თავი მეოთხე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი და ქონება

მუხლი 17. აფხაზეთის ბიუჯეტი

1. უმაღლესი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს კანონს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ.
2. უმაღლეს საბჭოს ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს მთავრობის თავმჯდომარე. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი უმაღლეს საბჭოს წარედგინება არა უგვიანეს 2 თვისა მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობის თავმჯდომარე წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
3. თუ უმაღლესმა საბჭომ არ მიიღო ბიუჯეტის პროექტი, იგი უბრუნდება მთავრობის თავმჯდომარეს შენიშვნებით. მთავრობის თავმჯდომარე 2 კვირის ვადაში შესაბამისი ცვლილებებით ხელახლა წარუდგენს უმაღლეს საბჭოს ბიუჯეტის პროექტს.
4. თუ უმაღლესმა საბჭომ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არ მიიღო ბიუჯეტი, აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯები დაიფარება წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით.
5. მთავრობის თავმჯდომარეს შეუძლია მოსთხოვოს უმაღლეს საბჭოს დამატებითი ხარჯების გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.
6. საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.
7. ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 18. აფხაზეთის ქონება

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს ქონება, რომლის ფორმირებისა და განკარგვის წესი განისაზღვრება საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

თავი მეხუთე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
კონსტიტუციის მიღება და გადასინჯვა

მუხლი 19. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის წესი

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღება და გადაისინჯება უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.
2. კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლება აქვს მთავრობას, უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს და აფხაზეთში რეგისტრირებულ საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 10 000 მოქალაქეს.

3. კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება უმაღლეს საბჭოს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის. უმაღლეს საბჭოში კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ.

თავი მეექვსე
გარდამავალი დებულებები

მუხლი 20. უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა

აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის N662 და 1995 წლის 14 ივნისის N759 დადგენილებების შესაბამისად, 1991 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში და 1992 წელს აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტში არჩეული შესაბამისი წევრებით.“.

მუხლი 2.

ამ კანონის ამოქმედების დროისთვის მოქმედი მთავრობა ახორციელებს თავისი უფლებამოსილებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დადგენილი წესით მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

მუხლი 3.

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი რუსლან აბაშიძე

განმარტებითი ბარათი

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის გარკვეული ნორმების შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციასთან. კანონპროექტის მომზადება ასევე განპირობებულია აფხაზეთის კონსტიტუციაში არსებული ნაკლოვანებებით, აუცილებელია კონსტიტუციაში მოცემული ზოგიერთი საკითხის სრულყოფა და სათანადოდ მოწესრიგება.

გარდა ამისა, საჭიროა კონსტიტუციის სტრუქტურის დახვეწა და მოწესრიგება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღება განპირობელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობისა და კონსტიტუციაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები თანხვედრაში მოვა საქართველოს კონსტიტუციასთან, განისაზღვრება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის წესი და აღმოიფხვრება დღეს მოქმედ რედაქციაში არსებული ხარვეზები, დაიხვეწება კონსტიტუციის სტრუქტურა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით ხდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციიდან მოქალაქეობისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ თავის ამოღება. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონმდებლობა ადამიანის უფლებებისა და საქართველოს

მოქალაქეობის შესახებ, სხვა საკითხებთან ერთად, განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას. შესაბამისად, დაუშვებელია ზემოდასახელებული საკითხების მოწესრიგება ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, მათ შორის, კონსტიტუციით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციიდან მე-4 თავის ამოღება („მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“).

საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილებები. ამ უფლებამოსილებებს შორის კი არ არის გათვალისწინებული არც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და არც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე უმაღლესი საბჭოსთვის თანხმობის მიცემა. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები ასახულია წარმოდგენილ კანონპროექტში, რის შემდეგაც პრეზიდენტს აღარ აქვს აფხაზეთის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე უმაღლესი საბჭოსთვის თანხმობის მიცემის უფლებამოსილება.

კანონპროექტი ახლებურად აწესრიგებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის წესს. კერძოდ, უმაღლესი საბჭო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

ზემოგანხილული საკითხიდან გამომდინარეობს წინამდებარე კანონპროექტში გათვალისწინებული კიდევ ერთი ცვლილება. აფხაზეთის კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მიხედვით, აფხაზეთის მთავრობა პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინაშე. ცვლილების შემდეგ კი მთავრობა ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე.

აფხაზეთის მთავრობის უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულების გამოხატულება იქნება უმაღლესი საბჭოსთვის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების უფლებამოსილების მინიჭება. კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციის მიხედვით, უმაღლეს საბჭოს შეუძლია მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის გათავისუფლება, რაც, თავის მხრივ, იწვევს მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას. თუმცა უფრო ეფექტიანი იქნება, თუ უმაღლეს საბჭოს ექნება მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის პირდაპირ გადაწყვეტის უფლებამოსილება და, არა ირიბად, როცა მას ამისთვის სჭირდება მთავრობის თავმჯდომარის გათავისუფლება.

აფხაზეთის კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციის თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციირება საერთო წესით ხდება. კანონპროექტის მიხედვით კი რეგულირდება აფხაზეთის კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხიც და განისაზღვრება კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის მქონე სუბიექტთა წრეც.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ კანონპროექტზე.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევა განპირობებულია მასთან სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის გათვალისწინებული.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები: დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად

იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია და საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია და საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია.